

საკვ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელთაც განიხილეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმის წარმავებით

შესრულებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ბელორუსის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, გაჯიკეთისა და სომხეთის მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად გამარჯვებულად ცნეს საქართველოს სს რესპუბლიკა და დააჯილდოვეს სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მსურვალედ ვულოცავთ ჩვენი რესპუბლიკის მშრომლებს დიდ გამარჯვებას - ზედიზედ მეშვიდედ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებას!

პროლეტარებო ყველა კვიპენსა, შეერთებით!



№ 34
(6595)

1980 წ.
თებარვალი.
სამზაბათი.
ფასი 3 კპპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბაოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან



ზ ა მ თ რ ი ს XIII ოლიმპიური თამაშები

როდნიასა და ზაიცაჰის ნარკაბეა

...სპორტის სასახლის დიქტორმა გამოაცხადა: „ბატონებო და ქალბატონებო! წყვილთა სრულში ოლიმპიური ჩემპიონების ირინა როდნიასა და ალექსანდრე ზაიცაჰის ეროვნული ჰიმნი - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჰიმნი“ და სასახლის თაღებზე გაისმა ჩვენი ქვეყნის ჰიმნი.
მიიღე სამშობლოვ, სპორტსმენთა საჩუქარი - არის კიდევ ერთი გამარჯვება თეთრ ოლიმპიადებზე!
ფიგურული სრიალის ისტორიაში ირინა პირველი გახდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მისი მეუღლე ალექსანდრე კი - ორგზის.
მათ გვერდით საპატიო კვარცხლებზე იდგნენ ახალგაზრდა მოსკოველები მარინა ჩერკასოვა

და ხერგეი შახრაი, რომლებმაც II ადგილი დაიკავეს.

მწვევე ბრძოლა გაჩაღდა ბრინჯაოს მედლებისთვის. საბჭოთა წყვილ მ. პესტოვასა და ს. ლეონოვიჩის ადგილებისა და ქულათა უკეთესი კამი ჰქონდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსაჯთა უმრავლესობამ III ადგილი გდრ-ის წყვილს მ. მაგერსა და უ. ბივერსდორფს მიაკუთვნა.

18 თებერვლისთვის ოლიმპიადის მედლები მოიპოვეს 16 ქვეყნის სპორტსმენებმა. სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდებს 11-11 მედალი აქვთ: საბჭოთა სპორტსმენებს - 6 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოსი. გდრ-ია ოლიმპიელებს - 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოსი. ავსტრიისა და აშშ-ის სპორტსმენებმა 4-4 მედალი დაისაკუთრეს. პოლანდიისა და ნორვეგიისამ - 3-3. (საკდესი).

ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობენ ი. როდნიასა და ა. ზაიცაჰის. საკდესი-საქინფორმის ტელეფორტო.



...საბოთა კავშირის მოციგავე ქალები შესანიშნავად გამოვიდნენ ლეიკ-პლუსიდის ოლიმპიურ თამაშებში - სამივემ უძლიერეს ათულში დაიმკვიდრა ადგილი. ორმა ოლიმპიური მედალი მიიღო და, რაც მთავარია, ჩემპიონს - ვერა ზოზულიას ინიციატივა პირველიდან ბოლო ცდამდე ხელიდან არ გაუშვია. ოთხი დაშვებიდან სამი საუკეთესოს გამში მან ყველაზე მცირედრო დახარჯა და ღირსეულად მიიღო ამერიკული აიზის ოქროს მედალი“. ასეთია დასავლეთის სპორტული პრესის საერთო აზრი.

პირველიდან ბოლო ცდაამდე

მართლაც, რიგულ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ამ ტურნირში ბადალი არ ჰყავდა. საბოლოოდ ზოზულიამ წაშვე მეტი მოულოდნელი მსოფლიოს ჩემპიონს მ. ზოლმანს (გდრ), რომელმაც თავის მხრივ მეორე საბჭოთა მოციგავეს, ასევე რიგულ ი. ანანტოვას „ვერცხლი“ მესამე ცდაში უკეთესი შედეგის წყალობით „წაართვა“.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ციგაობაში ეს პირველი ოქროს მედალია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მოიგეს.
ვათა შეჯიბრებაში საბჭოთა ოსტატები ცუდად გამოვიდნენ.

მართალია, პირველი დაშვების შემდეგ გ. ბრიომზეს მესამე მარჯვებელი ჰქონდა, მაგრამ მეორე ცდაზე იგი მეტორმეტე ვერაჟში დაბრინდა ამოყარდა, რის გამო III და IV ცდებში მონაწილეობა აღარ მიუღია.
მოციგავე ვაქებს მედლების კიდევ ერთი კომპლექტი დარჩაო გასათამაშებელი. ესაა, ორადგილიანებით დაშვება.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ზოზულია მილოცვას იღებს. საკდესი-საქინფორმის ტელეფორტო.



„ოქრო“, რომელსაც ველოდით

პინულის თვალზე მოციგურავე ქალთა შეჯიბრების პროგრამის მორიგი ნომერი - 1000 მეტრზე რბენა იყო. უკვე პირველივე წყვილის - ი. კოვროვასა (სსრკ) - ე. ფილიპსონის (შვეიცია) და ვაში ოლიმპიური რეკორდი გაუმჯობესდა - ფილიპსონმა 1.28,18 აჩვენა. დასაწყისი შესანიშნავი გამოდგა, მაგრამ უკვე მეორე გარბენში, რომელშიც გამოდიოდნენ ამ თამაშების პრიზიორები 500 მეტრზე შეჯიბრებაში, მასპინძელი ლ. მიულერი და საბჭოთა ოსტატი ნ. პეტრუსიოვა, ფილიპსონის რეკორდი დაემხო - შეჯიბრება პირველმა პეტრუსიოვამ დაამთავრა - 1.24,10, ახლა ე. შედეგი გახდა ოლიმპიური რეკორდი და მსოფლიო მიღწევა დაბლობის საციგურაობისთვის.
სწორედ პეტრუსიოვა - მიულერის წყვილის რბოლაში გაარკვია XIII ზამთრის თამაშების ჩემპიონისა და ვერცხლის პრიზიორის ვინაობა 1000 მეტრზე რბოლაში, როგორც აღვნიშნეთ, პირველმა პეტრუსიოვამ მოიგო, ხოლო მიულერი II ადგილზე გავიდა - 1.25,41. ეს შედეგი სულ რაღაც 0,05 წამით სჯობს მესამე გარბენში გამარჯვებული ალბრეხტის შედეგს.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. პეტრუსიოვა. საკდესი-საქინფორმის ტელეფორტო.

ის, რაც ოლიმპიადზე 15 კილომეტრზე მორბენალი ვაქების შეჯიბრების დროს მოხდა, ჯერ სპორტის ამ სახეობის ისტორიას არ ახსოვს. საქმე იმაშია, რომ გამარჯვებულის ბედი წამის მესამედმა გადაწყვიტა.

...შეჯიბრების ორგანიზატორებმა მონაწილეებს თავისებური სიურპრიზი შესთავაზეს - 9,5 და 5,5-კილომეტრიანი ორი წრე მოაწყვეს. ცხადია, ეს მაყურებლებს მდგომარეობას ერთგვარად უმსუბუქებდა, მაგრამ მონაწილეებს საზრუნავს უმატებდა: ისინი ინფორმაციას უფრო ხშირად იღებდნენ მწვრთნელებისგან და ტემპიც ნამდვილი სპრინტერული გამოდგა. ამას შედეგებიც ადასტურებს.

5 კილომეტრის შემდეგ 63 მონაწილეს შორის საუკეთესოდრო ჰქონდა შვედ თ. ვასბერგს, რომელიც უახლოეს მდევარს ფინელ ი. მიეტოს 4 წამს უგებდა. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესოს ნ. ზიმიატოვს (მოსკოვის ოლქი), რომელმაც ორი დღის წინ 30 კილომეტრზე რბენაში „ოქრო“ მოიპოვა, V შედეგი ჰქონდა. ზიმიატოვისა და სიკტიკარელ ვ. რიჩევის ადგილებს მდგომარეობაში

ში აშკარად იგრძნობოდა, რომ მათ ოლიმპიადის სტარტზე I და II ადგილების მოპოვებას საგრძნობი ენერჯია შეაღებს, თუმცა ყოველი მეტრისთვის, ყოველი წამისთვის მაინც ვაჟაკურად იბრძოდნენ.

უკან დარჩა პირველი წრე. ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა. წინ ისევ ვასბერგი და მიეტო მიდიოდნენ. ვასბერგმა კიდევ

იზვიათი შეემთხვევა

წამის რამდენიმე მესამედის უპირატესობა მოიპოვა. მესამე ადგილზე მიდიოდა ახალგაზრდა პოლონელი ი. ლუშჩეკი. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები ლენინგრადელი ე. ბელიაევი და ზიმიატოვი მისწრაფოდნენ ფინისისკენ. ყველაფერი ბოლო წრეს უნდა გადაეწყვიტა. აშკარად იგრძნობოდა, რომ ტანმალალ ფინელ ი. მიეტოს სერიოზული განზრახვა ჰქონდა. იგი ლიდერთან ჩამორჩენას თანდათან ასწორებდა და როცა რბოლა დაამთავრა, წამშობებმა შესანიშნავი შედეგი (41.57,64) აღნიშნეს.

მისი თანაგუნდელები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ვინაიდან მიეტოს შედეგი მეტოთხმეტე კილომეტრისთვის საგრძნობლად აღემატებოდა მისი ყველა მეტრქის მაჩვენებელს.

შვედები არ იზიარებდნენ ფინელების სისარულს. ისინი მოუთმენლად ელოდნენ ვასბერგის გამოჩენას, რომელსაც ადგილების

განაწილებაში უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვა. შვედი მოთხილამურე კი თავდაუზოგავად მიჰქროდა ფინისისკენ. საბოლოოდ 41.57,63. ეს 0,01 წამით სჯობს მიეტოს მაჩვენებელს.

ვასბერგი ოქროს დაეფუტა. მიეტო იტლებული გახდა ვერცხლის მედალს დასჯერებოდა. მესამე ადგილი ერგო ნორვეგიელ აუნლის - 42.28,62. IV და V ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა ოსტატები ნ. ზიმიატოვი - 42.33,96 და ე. ბელიაევი - 42.46,08.

პრეტენდენტის საგზურისთვის

ვინ უნდა იყოს მანქანის მძღველი?

1 მარტის თბილისში დაიწება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედი-ფინალური მატჩი ნ. ბაზრინა-შვილი და ნ. გურიელი შორის. მატჩივე შეუდგებიან ბრძოლას დანარჩენი სამი მეოთხედი-ფინალური მატჩის მონაწილენი. პრეტენდენტთა პაექრობა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ საქართველოში — განსაკუთრებით, რადგან რვაღან ოთხი პრეტენდენტი ჩვენი თანამემამულეა.

გათვალისწინებულად წერილს პრეტენდენტის საგზურისთვის ბრძოლის მატჩიანად.

1950 წლის ივლისში ფიდე-ს XXI კონგრესმა, რომელიც დაიწყო ქალაქ ბელიოში გაიმართა, შემოიღო ქალთა შორის მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი, სამწლიანი ციკლი. ამ ციკლის ფორმულა ასეთი იყო: პირველ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება ზონალური ტურნირები; მომდევნო წელს გამარჯვებულნი ხვდებიან ერთმანეთს პრეტენდენტთა ტურნირში; მესამე წელს პრეტენდენტთა პაექრობაში გამარჯვებული მოქალაქე მატჩს თამაშობს მსოფლიო ჩემპიონთან. ამავე დროს, დამარცხებულ ჩემპიონს მიეცა მატჩ-რევეანის თამაშის უფლება. პრეტენდენტთა I ტურნირი მოეწყო 1952 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, მოსკოვში. სტარტზე გამოვიდნენ: უკრაინელი მსო-

ფლიო პირველობის (იგი ტურნირის სახით ჩატარდა მოსკოვში 1949-1950 წლების მიჯნაზე) პირველი 6 პრიზიორი და ზონალური ტურნირებში 10 გამარჯვებული მოქალაქე. სსრ კავშირიდან ბრძოლაში ჩაებნენ ე. ბიკოვა, ვ. ბორისენკო, ო. რუბტოვა, კ. ზვორიკინა და ო. იგნატევა.

პრეტენდენტის საგზური დაიწყო ბიკოვამ — 11,5 ქულა 15-დან. 1953 წელს მან მატჩში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ლ. რუბტოვა.

პრეტენდენტთა II ტურნირსაც მოსკოვში უმასპინძლა 1955 წლის ოქტომბერში. ამჯერად სტარტზე 20 მოქალაქე გამოვიდა, მათ შორის სსრ კავშირიდან ლ. ვოლბერტი, ზვორიკინა, ბორისენკო, იგნატევა და ი. გურფინკელი. ჩინებულად იბრძოლა რუბტოვამ და 15 ქულით I ადგილი დაიკავა.

1956 წლის აგვისტო-სექტემბერს უნდა ჩატარებულიყო ბიკოვა-რუბტოვას მატჩი. მაგრამ, რაკი რუბტოვამ არ ისარგებლა მატჩ-რევეანის უფლებით, ამიტომ ისიც მიიწვიეს შეჯიბრებაში. ამათა მატჩ-ტურნირში, რომელიც რვა წრედ მოეწყო, გამარჯვებული რუბტოვა იყო. იგი გახდა მესამე საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი.

ფიდე-მ 1957 წლის კონგრესზე გააუქმა მატჩ-რევეანი, ოღონდ ამჯერად დაუტოვა ე. ბიკოვას უფლება შეხვედროდა ჩემპიონს, რადგან ასეთი შეხვედრა ნაუზ-

ისმევი იყო 1953-1956 წლების ციკლის დებულებაში.

1958 წლის თებერვალ-მარტში ბიკოვამ სძლია რუბტოვას და ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა.

პრეტენდენტთა III ტურნირიც ამავე წლის მაისში ქალაქ პლავდოვში (ბულგარეთი) გაიმართა. სასპარეზოდ 15 მოქალაქე ჩავიდა, მათ შორის სამი საბჭოთა კავშირიდან — ზვორიკინა, რუბტოვა და ბორისენკო. პრეტენდენტის საგზურს ზვორიკინა დაეუფლა. მისი მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან მხოლოდ წლიანხვედრის შემდეგ მოეწყო 1959 წლის 4 დეკემბრიდან 1960 წლის 4 იანვრამდე. ბიკოვამ კვლავ შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება.

1961 წლის ნოემბერს იუგოსლავიის აგარაკ ვრნიაჩკა-ბანიში მოეწყო პრეტენდენტთა IV ტურნირი. ბრძოლაში 17 მოქალაქე მონაწილეობდა, სსრ კავშირიდან — ზვორიკინა, ვოლბერტი, ბორისენკო და 20 წლის ნ. გაფრინდაშვილი.

თავიდანვე ლიდერობა ხელთ იღო ქართველმა მოქალაქეებმა და დაუმარცხებლად, შესანიშნავი შედეგით — 13 ქულა 16-დან — I ადგილი დაიკავა. ეს იყო სენსაცია, რადგან წინას პრეტენდენტობის კანდიდატად არავინ მიიჩნევა, მით უმეტეს, რომ ზონალური ტურნირში (სსრ კავშირის 1960 წლის ჩემპიონატში) იგი

მხოლოდ IV იყო. მაგრამ დიდმა ნიჭმა და შეუპოვრობამ თავისი გაიტანეს.

1962 წლის შემოდგომაზე, მოსკოვში, გაფრინდაშვილმა იოლად დაამარცხა ბიკოვა (მოიგო 7 პარტია, 4 ყაიმით დაამთავრა) და მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონად მოეწვინა. ქალთა ქალაქში, როგორც მაშინ ბიკოვამ თქვა, დაიწყო ახალი ეპოქა.

პრეტენდენტთა V ტურნირს უმასპინძლა სოხუმი 1964 წლის შემოდგომაზე. კვლავ შეიკრიბნენ ვერთის, ამერიკისა და აზიის უძლიერესი ოსტატები.

ბრძოლა უკიდურესობამდე დაძაბულად წარიმართა. ჯერ გამარჯვებულს შესაძლებლობა ჰქონდა ტ. ზატულაძისა, მერე იუგოსლავიელ მ. ლაზარევიჩს — დასვენება ტურში რომ პარტია ყაიმით დამთავრებინა, იგი პრეტენდენტი გახდებოდა. მაგრამ ლაზარევიჩმა წააგო და მას დაეწინა უპირატესობა და ა. კუშნერი. საქართველმა დამატებითი ორწრიანი მატჩ-ტურნირის გამართვა. ბედმა არც აქ გაუღიმა ლაზარევიჩს. პირველი ორი პარტია რომ მოიგო, მერე წრეში ერთი ყაიმიც ყოფნდა პრეტენდენტობისათვის, მაგრამ ორივე შეხვედრა წააგო და პრეტენდენტი კუშნერი გახდა. 1965 წელს რიგაში გაფრინდაშვილმა სასტიკი მარცხი აგმა კუშნერს — 8,5:4,5.

პრეტენდენტთა VI ტურნირის

მონაწილენი მიიღეს ქ. ანბოტი-ცამ (კრეტინა) მისი წილს. 18 მონაწილეს შორის იყო ქართველი ოსტატიც — სსრ კავშირის ჩემპიონი 18 წლის ნ. ალექსანდრია.

სტარტიდან დაწინაურდა ალექსანდრია, მაგრამ გამოუკვდილობამ ხელი შეუშალა ლიდერობა ბოლომდე შეენარჩუნებინა. შუა ტურნირში რომ წაიფორჩხილა, მას სხვებმა გაასწრეს. ფინიშთან ნანა მხოლოდ მეშვიდე მივიდა. პრეტენდენტის საგზურს ისევ კუშნერი დაეუფლა.

1969 წელს თბილის-მოსკოვში გაიმართა გაფრინდაშვილ-კუშნერის მატჩი. მსოფლიო ჩემპიონმა ისევ გამარჯვა დამატებითი ანგარიშით — 8,5:4,5.

გათამაშების ახალი, 1969-1972 წლის ციკლში პრეტენდენტის გამოსავლიანობად ფიდე-მ დამატებითი შეჯიბრება — საზონათშორისო ტურნირი შემოიღო, ხოლო პრეტენდენტთა ტურნირი შეცვალა პრეტენდენტთა ნახევარფინალური და ფინალური მატჩებით. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიეცა მსოფლიო ჩემპიონთან ორთაბრძოლაში დამარცხებულ პრეტენდენტს და საზონათშორისო ტურნირის პირველ სამ პრიზიორს.

თ. გიორგაძე.

(გაგრძელება იქნება)

„ლელოს“ პრიზიზაზა

პრიზიზაზა

სამომ-სათხილამურო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილეებმა მხოლოდ ერთი დღე შეისვენეს და შეჯიბრების დასაწყისით, IV ტურში ჩაებნენ. „ლელოს“ პრიზების გათამაშება ამჯერადაც გიგანტური სლოომით დაიწყო, თუმცა ასპარეზობის პროგრამით პირველნი სტარტზე სწრაფდაშვების ოსტატები უნდა გამოვლიოყვნენ. განრიგში თავისი კორექტივი ამინდმა შეიტანა: კონტაგორის თავზე დიდიდანვე ისეთი ქაშაში მზე ამობრწყინდა, რომ ისედაც შეთხლებულმა თოვლმა დნობა დაიწყო. ცხადია, ასეთ პირობებში კონტის ფერდობებზე 3000-მეტრიანი ტრასის მოწყობა შეუძლებელი გახდა და მსაჯთა კოლეჯიამ სწრაფდაშვება გიგანტური სლოომით შეცვალა (სიგრძე — 1100 მ, სიმაღლეა სხვაობა — 350 მეტრი, 34 კარი).

სტარტზე 112 ვაჟი გამოვიდა, რაც ამ შეჯიბრებისთვის სარეკორდოა: გამოცდილმა მესტარტებმა კოზანაშვილმა დისტანციაზე პირველი მონაწილე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. ნაზაროვი გაუშვა. წამშობებმა 1.08,50 აჩვენეს. ზედღებულად შენედა უძლიერესი კ. ბოტილოვი, ა. არდევი, მ. სინეტივი, ვ. სმირონოვი, მ. ტომოფევი, ი. იუდინი... ნაზაროვის დრო კი ვერაფერს გააუმჯობესა.

მეორე ცდაში ტრასის სიგრძე რამდენადმე გაიზარდა. ლიდერმა 1.15,60 აჩვენა. მალე ტომოფევიც 0,02 წამით გაუმჯობესა ეს შედეგი. ტრასა უფრო კარგად გაიარა იუდინმა — 1.14,4. ამ დრომ, რომელიც საუკეთესო

გამოდა მეორე ცდაში, გამარჯვება, ისე როგორც წინა ტურში, იუდინს („შურევესტიკი“) მოუტანა — 2,23,73. ნაზაროვი („შრომითი რეზერვები“) მეორე იყო — 2,24,10. სინეტივი („სპარტაკი“) — მესამე — 2,24,70. მისმა ბაკურიანელმა თანაგუნდელმა ა. მიქაბერიძემ XIX ადგილი დაიკავა — 2,30,52.

გუშინ ქალთა ასპარეზობისას ამინდმა პირი იბრუნა. ბაკურიანის თავზე ნისლი ჩამოწვა. გამჭოლი ქარი ქროდა. თოვდა.

გიგანტურ სლოომში 56 მონაწილე შეგროვდა. პირველი ტრასა ყველაზე უკეთესად ტ. პერჩატიკიმ დაფარა — 1.15,24. მეორე იყო მისი და ნ. პერჩატიკინა — 1.15,37. მესამე — ნ. ზელოვა — 1.15,48.

მეორე ცდაში ნატალიამ 1.16,27 აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა (გამე 2,31,64). ტატიანას დროა — 2,32,86. მესამე ადგილზეა ს. ლებედევა — 2,37,62. სამივე დინამოელია.

ამ დღეს განსაკუთრებით გაგვახარა მ. კოზანაშვილმა („კოლმეურნი“), რომელმაც მშვენიერად გაიარა ორივე ტრასა და საპარტიო IV ადგილზე გავიდა — 2,37,90, რითაც შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა, დინამოელმა ც. კოზანაშვილმა X შედეგი აჩვენა — 2,46,09.

დღეს მონაწილენი კვლავ ისპარეზებენ გიგანტურ სლოომში.

მ. ნოზაძე. (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).

დაჯილდოება

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის კადრების მოზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტის საპარტიო სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. გ. ნორაქიძე.

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომი-

ტეტის საპარტიო სიგელით დაჯილდოვდა ა. ე. რატია.

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა ა. ი. პავლაშვილი.

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა სიგელით დაჯილდოვა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ო. გაბრიაძე.

ფიზკულტურა ჩვენს ყოვანში



როცა თავაკვს სპორტი უყვარს...

ბაპურიანში თხილამურებით მორბენალ გოგონათა ერთმა ჯგუფმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. დღეში ორჯერ გამოდიოდნენ დათოვლილ ტყეში თუ ველზე გამავალ სათხილამურო „ბილიკზე“ და მონდომებით ვარჯიშობდნენ.

მერე ისინი „კოლმეურნის“ ბორკომის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ბერიძემ გაგვაცნო. გოგონები ციხისკერის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ ჯგუფში აღმოჩნდნენ — რაიონული შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ.

ძალიან ვემადლიერებო ციხისკერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მოსე ხუტურაულს, — მეუბნება ჯგუფის ბერიძე — ფიზკულტურისა და სპორტის დიდი ენთუზიასტი. თუმცა მეურნეობაში სულ 250-მდე კაცია გაერთიანებული და, ამდენად, შტატი არც ფიზკულტურის მეტოდისტი ეკუთვნის, მაგრამ დირექტორმა მისი მოძებნა გამოსავალი — ამ ადგილზე ნახევარგანაკვეთზე აიყვანა პეტრე ლაზინი და თუ დღეს ციხისკერის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულ-

ტურლები რაიონში ერთ-ერთი მოწინავენი არიან, ამაში ხუტურაულსაც უნდა გუმადლოდეთ და ბუნებრივია, ლაზინსაც აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეურნეობის ფიზკულტურულ ჯგუფში შრომამაც არავის უდებენ ტოლს. ისინი მეცხოველეობას მისდევენ და აქაც საუკეთესონი არიან რაიონში.

ჩვენი დირექტორი ფიზკულტურისა და სპორტის მართლაც დიდი მოწინავეა, — სიტყვას აგრძელებს ფიზკულტურის მეთოდისტი. — ეს იქიდანაც ჩანს, რომ როცა სპორტის ზამთრის სახეობებში რაიონულ სპარტაკიადებზე II ადგილი დაგვაკვეთ, მოვიდა და მითხრა: იცოდეთ, ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ბაკურიანელსაც ვაჯობოთ. ჩვენი დირექტორი მზად არის, რომ მეურნეობის მოთხილამურეებისთვის 25-მეტრიანი ტრამპლინი მოაწყოს და საბაგირო გზა შეიქმნოს, მაგრამ ორივე ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემად გადაგვიქცა.

მერე კიდევ უფრო ახლოს გავიცანით მეურნეობის ფიზკულ-

ტურელთა მიღწევები. მათთან ჩამოყალიბებულია: ფეხბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკისა და შაშის სექციები. ისინი სათხილამურო რბენაში საუკეთესონი ყოფილან რაიონში; სპორტის საზაფხულო სახეობებში რაიონული სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ბადალი არ ყოლიათ; უძლიერესნი აღმოჩნდნენ ზამთრისა და ზაფხულის რაიონული სპარტაკიადების კომპლექსურ ჩათვლაშიც.

აქვე უთუოდ უნდა ვახსენოთ მეურნეობის ის მშრომელები, რომლებიც შრომასა და სპორტს კარგად უთავსებენ ერთმანეთს: მუშა თემურ გვარამაძე, მწველავი ვენერა ტოსუნოვა, მექანიზატორი გიორგი ლეონტიევი, შოფრები ხარლამ გრამატაპულო, გიორგი მურადოვი და სხვები...

ა. რაზაველიშვილი.

ს უ რ ა თ ე: ციხისკერის საბჭოთა მეურნეობის მოთხილამურეები ვარჯიშის დროს. ავტორის ფოტო.

გამაქანსაღებელ შეკრებაზე, ბაპურიანში



ცეკაშვირის თბილისის კოპერაციული ტექნიკური მოსწავლეებისთვის ზამთრის არღადგების პერიოდში ყოველწლიურად მართავს შეკრებებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათხილამურო სპორტის ელემენტების დაუფლებას. შემდეგ ტარდება შეჯიბრებები მშენებლობის ნორმატივების ჩასაბარებლად 3 და 5 კილომეტრზე რბენაში. ამ გამაქანსაღებელ ღონისძიებაში ათობით მოსწავლე მონაწილეობს. ასე იყო წელსაც. შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავსა და საბჭოების არჩევნებს მიეძღვნა. ამ სურათზე აღბეჭდილია ტექნიკუმის მოსწავლეთა ერთი ჯგუფი დღის ვარჯიშის დროს. მ. გონენაშვილის ტექსტი და ფოტო.

სსრკ — გღრ-ის იუნორი მძღოლსანთა მატჩის წინ

ჯერჯერობით ანბარიშია 3:3

„ლელოს“ ინტერვიუ



22 თებერვალს თბილისის „განთადის“ მძღოლსანთის სახალე უმასპინძლებს გღრ-ისა და სსრკ კავშირის იუნორი მძღოლსანთა მორიგ ტრადიციულ ზამთრის შეჯიბრებას. ჩვენი კორესპონდენტი ჯ. პასრაძე შეხვდა საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ველოძს სუს-ლელოს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

— სანამ რამეს შეგიკითხებოდეთ, — თქვა ველოძი, — მინდა შევაქო თქვენი მძღოლსანთის სასახლე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში, აქ ყველა პირობა ვარჯიშისა და დასვენებისათვის. დარბაზი ნათელია, კაცი ლაღად, თავისუფლად სუნთქავს. ვფიქრობ, გულშემატკივრები აქ მაღალი სპორტული შედეგების მოწმენი გახდებიან. ერთი კი მინდა აღვნიშნო: დარბაზი ცუდად თბება და ამან არ შეიძლება სპორტმენებზე არ იმოქმედოს.

მერამდენად ხვდებით გღრ-ის იუნორებს?

— დახურულ დარბაზებში ჩვენს მატჩებს 1974 წელს ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ ექვსჯერ ვიასპარეხეთ. პირველი შეხვედრა მოსკოვში მოვიგეთ, საპასუხო შეხვედრაში (გღრ) წავეგეთ. მესამე და მეოთხე მატჩები მოწესო ლენინგრადში, სადაც ვამარჯვებდა კვლავ გერმანელ სპორტმენებს ხვდათ. ამის შემდეგ, მინესოთა და ბერლინში ჩვენმა სპორტმენებმა ისახელეს თავი. ასე რომ, ანგარიში საყაიშოა — 3:3.

როგორ აფასებთ მატჩების შანსებს?

— გეტყვით, ვისი იმედიც გვაქვს. პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელო გუნდის ლიდერები: სერგეი კანაუსკი (ბირთვის კვრა), ეკა ნიკოლაევა და ვლადიმერ კლიმოვი (60 მ თარგობენი), ვლადიმერ შერშენი (400 მ რბენა), ოლეგ აზიზმურადოვი (სიმალეზე ხტომა), ვალერი ტაჩენკო (ჰოკით ხტომა), ვა-

ლერი უსოვი და სერგო ახვლედიანი (სამხტომი), სერგეი ვისე-ლევი და ვალერი გრიგორი (3000 მ რბენა), გალინა აშატო-ნა (სიმალეზე ხტომა) და ლე-ილა წინწალაშვილი (1500 მ რბენა).


რაც შეეხება გღრ-ის სპორტ-სმენებს, მათი საერთო წარმა-ტლები ყველასათვის ცნობი-ლია. გერმანელ მძღოლსანთებს ამ-ჟამად მოწინავე პოზიციები უკავიათ მსოფლიოში. სულ ახ-ლახან იუნორმა ფრანგ ემელ-მანმა ქვეყნის ჩემპიონობა მოი-პოვა მოზრდილებში 60 მეტ-რზე რბენაში. თბილისში მას-თან ერთად იუნების ევროპის ჩემპიონები დავმარ რუზმაში (400 მ რბენა), კორნელი რატ-ე (სიგრძეზე ხტომა) და მარი-ონ პიუნბერი (800 მ რბენა).

გამოვა თუ არა ვინმე ჩვე-ნი იუნორებიდან მოსკოვის ოლიმპიადაზე?

— ჯერჯერობით ჩვენ მხო-ლოდ მომავალი ოლიმპიელები გვყავს, მაგრამ ოლიმპიადის და-წყებამდე საკმარისი დრო და შე-იძლება ქვეყნის ძირითად შე-მადგენლობაში რამე შეიცვა-ლოს.

ს უ რ ა თ ე ბ ე: ზემოთ — უფროსი მწვრთნელი ვ. სუსლო-ვი; მწვრთნელი ტ. კლიმენკო და-რიგებას აძლევს ნაკრების წევრს ბირთვის მკვრელ ტ. ზახარკინს; ვარჯიშობენ ჰოკით მსხტომელები; ს. ახვლედიანი და მისი მწვრ-თნელი მ. მუხიგულაშვილი.

ავტორის ფოტოები.



სსრკ კავშირის სპორტკომიტ-ეტმა დაამტკიცა 1980 წლის სა-ფეხბურთო სეზონის დებულება (უმთავრესად მომენტები ჩვენს გა-ზეთში უკვე იყო მოყვანილი).

დამტკიცებულია „ა“ კლასის II ლიგის ზონათა შემადგენლო-ბა. წლეულს II ლიგაში შექმნი-ლია 9 ზონა. პირველი 4 ზონა ვანკუთენილია რსფსრ-ს გუნდე-ბისთვის, მეხუთე — უკრაინის, მეექვსე — უზბეკეთის, მეშვიდე — ყაზახეთისთვის, ხოლო მერვე და მეცხრე ზონებში გაერთიანე-ბული არიან პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგად-ოებთა გუნდები სხვადასხვა მო-კავშირე რესპუბლიკიდან.

IX ზონა, სადაც თამაშობენ საქართველოს გუნდებიც, ამგვარ-ად გამოიყურება:

1. „კოლხოზი“ (აშხაბადი)
2. „ლოკომოტივი“ (სამტრედია)
3. „ლილა“ (გორი)
4. „დინამო“ (ზუგდიდი)
5. „დინამო“ (ბათუმი)
6. „დინამო“ (სოხუმი)
7. „კოლხეთი“ (ფოთი)
8. „შირაკი“ (ლენინჯანი)
9. „კორაიტი“ (აბოჯანი)
10. „არაზი“ (ნახჩევანი)
11. „პროგრესი“ (კირეობადი)
12. „ყარაბაგი“ (სტეფანავურ-ტი)
13. „აგრომობილისტი“ (ბაქო)
14. „ხაზარი“ (ლენჯორანი)
15. „არბეიკი“ (ერევანი)
16. „მეტალურგი“ (რუსთავი)

II ლიგის შვიდი ზონის შეჯი-ბრებებს ხელმძღვანელობენ სო-რბაბის რესპუბლიკების სპორ-ტკომიტეტები და ფეხბურთის ფედერაციები, ხოლო VIII და IX ზონებში — პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგად-ოებთა საკავშირო საბჭო და ფეხბურთის ფედერაცია.

თუ გუნდი ორზე მეტ მოთამა-შეს მიაღწენს პირველ ან ახალ-გაზრდულ ნაკრებში, მას გადა-უღებენ საკავშირო გათამაშების კალენდარულ შეხვედრას. II ლიგის გუნდებში შეიძლება შე-ყვანილ იქნას 25 წელზე მეტი ასაკის არაუმეტეს 6 მოთამაშე, მის შემადგენლობაში უნდა იყოს 1962 წელში დაბადებული სულ ცოტა 2 მოთამაშე, რომელთაც ერთ-ერთი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს მატჩში და მი-სი შეცვლა შეუძლია მხოლოდ მისივე ტოლ ფეხბურთელს. თუ გუნდი დებულების ამ პუნქტს ვერ ასრულებს, მან უნდა ითამა-შოს 10 ფეხბურთელის შემად-გენლობით. ამ წესის დარღვევი-სთვის გუნდს ეთვლება დამარც-ხება.

ჩემპიონატების მატჩებში (უმალ-ლესი ლიგა) ნებადართულია ორი მოთამაშის შეცვლა, პირველ ლიგაში — სამის და დუბლიორ-თა გუნდებში — ექვსისა.

უმალესი ლიგის ფეხბურთე-ლებსთვის დაწესებულია ანტი-სადოპინგო და ანტინაბოლიტი-კური კონტროლი.

ქულათა თანაფარდობის შემთ-ხვევაში პირველი ადგილის ბედი

ახალი სეზონის წინ

ყველა ლიგაში განისაზღვრება დამატებითი თამაშებით ერთ წელს, ნეიტრალურ მინდორზე. ნეიტრალურ მინდორს უმალეს და პირველ ლიგებში განსაზღ-ვრავს საკავშირო სპორტკომიტე-ტის ფეხბურთის სამმართველო, ხოლო მეორეში — ფეხბურთის შესაბამისი სამმართველოები და განყოფილებები. ქულათა თანა-ფარდობის შემთხვევაში შემდგო-მი ადგილები ყველა ლიგაში გა-ნისაზღვრება ასე: უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ყვე-ლაზე მეტი გამარჯვება აქვს, შე-მდეგ — საუკეთესო მაჩვენებლი-თ ერთმანეთთან შეხვედრებში; გატანილი და მიღებული ბურთ-ების უკეთესი ხვაობით ყველა თამაშში; გატანილი ბურთების მეტი რაოდენობით ყველა თამა-შში. თუ ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირი იქნა, უკეთეს ადგილს განსაზღვრავს წილისყრა.

უმალესი ლიგის წლევიანდელი სეზონის შედეგების მიხედვით დებულებები მე-17 და მე-18 ად-გილებზე გასული გუნდები. თუ ერთ-ერთი ამ ადგილთაგანი დაი-კავა ტაშკენტის „ფახთაქორმა“, პირველ ლიგაში გადავა მე-16 ად-გილზე მყოფი გუნდი. I ლიგაში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადავლენ უმ-ალეს ლიგაში.

I და II ლიგებს შორის გა-დასვლათა საკითხი განისაზღვრე-ბა მოგვიანებით.

საგანგებო ღონისძიებები ხორ-ციელდება მსაჯობის ხარისხის ასამაღლებლად.

მატჩის არბიტრი თამაშის და-წყებამდე 30 წუთით ადრე იბა-რებს შევსებულ სასტარტო ოქმს, ეცნობა საგანგებო ფურცელს და მონაწილეთა ბილეთებს. იგი მოვალეა შევიდეს ორივე გუნ-დის გასახლელებში, გაეცნოს მო-თამაშეებს და თუ მიინებს, რომ რომელიმე მათგანი უწესიერო-დაა ჩაცმული ან ხელზე აქვს საათი, ბეჭედი, მედალიონი, ძე-წყვი და ა. შ. მწვრთნელის თა-ნდასწრებით მოითხოვს მოთამა-შემ წესრიგში მოიყვანოს საკუ-თარი თავი. წინამდებე შემთხ-ვევაში, იგი ფეხბურთელს არ დაუშვებს მინდორზე. თუ ამ და-რღვევებს მსაჯი ამოთავს თა-მამის მსგელობაში, მან მოთა-მაშეს უნდა დაატყვიბინოს მინ-დორი ჩაცმულობის წესრიგში მოსაყვანად. განსაკუთრებული სიმკაცრეა საჭირო მათ მიმართ, ვინც უღისცობლინოდ იქცევა მი-ნდორზე.

მინდორიდან გაძევებული ფეხ-ბურთელი, რომელიც შეურაცხ-ყოფას მიაყენებს მსაჯს ან მის თანაშემწეებს, ან შეეცდება ზე-მოქმედება მოახდინოს მათზე, ახალი დებულებით დისკვალიფი-კაციას მიიღებს 10-15 თამაშით. თუ ფეხბურთელი არ მონაწილე-

ობს მატჩში, მწვრთნელი მისი მართით დაუშვებს ორივე გუნ-დაცხმყოფელ საქციელს (წამოძი-ხილები, რეპლიკები) დისკვალიფი-კაციას მიიღებს 10 მატჩამდე. ერთმანეთთან ჩხუბისა და სხვა ხულიანური საქციელისთვის დი-სკვალიფიკაცია გათვალისწინებუ-ლია 5-10 თამაშით, მეტოქის ან თავისი გუნდის მოთამაშის შეუ-რაცხყოფის ან არამხანაგური და-მოკიდებულებისთვის — ოთხით. წინასწარი განზრახვით 9 მატჩის დაუცველობა, ხელის შეშლა, როცა მეტოქე ასრულებს თავი-სივალე, საგარეო ან კუთხურ ღარტყმას, თამაშის შეჩერება, სიმულაცია, ბურთის განზრახ გა-დაღება, აგრეთვე ითვლება სე-რიოზულ დარღვევად. დამარ-გევი მოთამაშეები შეიძლება დი-სკვალიფიკირებულ იქნან 3 მა-ტჩამდე.

სსრკ კავშირის თასის ზონებში გამარჯვებული გუნდები (მოსკო-ვის „დინამოს“ ჩათვლით) შეად-გენენ მერვედფინალურ წყვილ-ებს. მასპინძლები გაირკვევა წი-ლისყრით. მეოთხედფინალები და ნახევარფინალები გაიმართება იმ პრინციპით, თუ რომელ გუნდს რამდენი მიღება და გასვლა ჰქო-ნდა. თუ ეს მაჩვენებლები თანა-ბარია, მასპინძლობის საკითხს გადაწყვეტს წილისყრა.

მერვედფინალიდან მოყოლებ-ული თასის მატჩებში გამარჯვებ-ულის გამოსავლენად (თუ ძირი-თადი დრო დამთავრდა ფრედ) ინიშნება 2 დამატებითი ტაიმი 15-15 წუთის ხანგრძლივობით. თუ გამარჯვებული ამ შემთხვე-ვაშიც არ გამოვლინდა, დაინიშ-ნება პენალტების სერია.

ფეხბურთი



ხელაპყრობით

დედაქალაქის თასზე

საპარტივლო სასოფლო-სამე-ურნეო ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ხელბურთში. შეჯიბრებაში დედაქალაქის სას-წავლებლებისა და სპორტსაზო-

გადობების გუნდები ასპარეზო-ბდნენ. თასები დაისაკუთრეს სა-ქართველოს ფიზკულტურის ინს-ტიტუტის ვაჟთა და ქალთა ხელ-ბურთელებმა.
ი. სიმონიშვილი.

მატჩი „რომანთან“

რომში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთ-ში სსრკ კავშირის ნაკრებ გუნდსა და ადგილობრივ „რომა“ შორის.

ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა გავრილოვმა. შესვენების შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა კონტიმ, მერე კი რომანცევა და შავლომ კიდევ ორჯერ აიღეს იტალიელთა კარი — 3:1.

საბჭოთა ფეხბურთელებს მანა-მდე შეხვედრა ჰქონდათ იტალი-ის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ერთადერთი გოლი 59-ე წუთზე გაიტანა შავლომ.

საბჭოთა სპორტსმენები ბულგარეთში

ბულგარეთში წინასასეზონო მზადებას აწარმოებს საბჭოთა ფეხბურთელთა რამდენიმე გუნ-დი, რომლებიც აქ ამხანაგურ სა-ერთაშორისო შეხვედრებსაც ატა-რებენ.

ბულგარეთის ეროვნული ნაკრები შეხვდა ცსკა-ს და გაიმარ-ჯვა ანგარიშით 1:0, ხოლო მოს-კოვის დინამოელებთან ფრედ ითამაშა — 1:1.

მოსკოვის სპარტაკელებმა ფრედ დამთავრეს მატჩი „სლი-ვენთან“ — 2:2 და დაამარცხეს „იავროვი“ — 1:0. ბაქოს „ნეფთჩი“ დამარცხდა „ჩერნომორცთან“ — 1:3, ხო-

ლო მატჩი „დობრუჯასთან“ დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებ-ით — 2:1.

ტაშკენტის „ფახთაქორმა“ ფრედ ითამაშა პლოვდივის „ლო-კომოტივთან“ — 0:0, დიმბრო-ვოგრადის გუნდს კი მოუგო ან-გარიშით — 2:0.

ცსკა-მ წააგო ქ. მარიცაში ად-გილობრივ ნაკრებთან — 0:2, ხოლო კრასნოდარის „ყუბანმა“ მარცხი იწვნია „ლუდოგორეც-თან“ — 1:2.

ნ. სიმონიანი — ოდასალთა მწვრთნელი

ოდასის „ჩერნომორციის“ ფე-ხბურთელთა კოლექტივს ჰყავს ახალი უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტა-ტი ნ. სიმონიანი.

„ჰყავის ბურთის“ პრიზუა

დამბაძის დებულება „რეჟი-ვის ბურთის“ კლუბის წლევიანდ-ელი შეჯიბრებებისა, რომლებიც ეძღვნება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს.

მონაწილეთა ასაკი ასეთია: უმ-ცროსი ჯგუფი 1969-70 წლებში ცაბადებულნი, საშუალო — 1967-68 და უფროსი — 1965-66 წ. წ. უმცროსი და საშუალო ასაკის ფეხბურთელთა გუნდები ყალიბ-დება საცხოვრებელი ადგილების

მიხედვით, ხოლო უფროსი ასა-კისა — საერთო საგანმანათლებ-ლო სკოლებში.

შეჯიბრებები სოფლებში, რაი-ონებში და ქალაქებში უნდა დი-წყოს არაუგვიანეს აპრილისა. სამ-ხარეო, საოლქო და რესპუბლი-კური ტურნირები უნდა მოთავა-ყდეს ივლისში, საკავშირო ფინა-ლები გაიმართება 15-26 აგვის-ტოს ბრიანსკში (უმცროსი ასაკი), ხარკოვში (საშუალო) და გროზ-ნოში (უფროსი).

გუნდები, რომლებიც ვერ მო-ხვდებიან საკავშირო ფინალებში, განაგრძობენ მონაწილეობას სა-რაიონო და საქალაქო შეჯიბრე-ბებში „ოქროს შემოდგომის“ პირობებზე.

უმცროსი და საშუალო ჯგუფებ-ში არ შეიძლება რამდენიმე სა-ბინიო-საექსპლუატაციო და სახლ-მმართველობის ნაკრები გუნდ-ების შედგენა.

კრუიფი და დავისი

ჩრდილოეთ ამერიკის საფეხ-ბურთო ლიგის № 1 ფეხბურთე-ლად 1979 წლის სეზონისთვის სპეციალური რეფერენდუმის შე-მდეგ აღიარებულია პოლანდიელი იოჰან კრუიფი.

№ 1 ამერიკელ ფეხბურთელად (იგი აუცილებლად აშშ-ს მოქალ-აქე უნდა იყოს) ამავე რეფერენ-დუმის შედეგად მიიჩნეს დევისი (ნიუ-იორკის „იოსმისი“).



ჯ ა მ თ რ ი ს XIII ოლიმპიური თამაშები



ფაკორიტაბი დავანს აბრძელებენ

ზუსტი თვალის დახმარებით

პროფესორი ჯონ ლეი-პლესი-დში გამართულ წინაოლიმპიურ კვირეულში ბიატლონისტთა ასპარეზობა 20 კილომეტრზე მოიგო მანამდე თითქმის უცნობმა სამხრეთის ოსტრია, ლენინგრადელმა ა. ალიბეივამ. ეს მისთვის ყველაზე დიდი წარმატება იყო საერთაშორისო შეჯიბრებებში. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელები ყველაზე მეტ იმედებს ამყარებდნენ ალიბეივზე და პერმელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტრატ ვ. ალიკინზე, რომელმაც შარშან კარგად იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო წლეულს ქვეყნის თასის გათამაშებაში იმპარჯვა სპორტერულ დისციპლინაზე, ალიკინი ერთობ სწრაფი, მაგრამ აძვირად სისწრაფეს ზუსტად თვალზე აკონცენტრირდა.

სპორტმენებთან, ფინეთის, ნორვეგიის, შვეიციის ბიატლონისტებთან. განსაკუთრებით მალაი იყო ე. როიზის, კ. ულრიხის და მ. ზინბერტის (ყველა—გერმ) აქციები, ვინაიდან ისინი ბოლო წლებში საგრძნობლად დაწინაურდნენ და თამაშების წინ გამართულ ვარჯიშებზეც ბრწყინვალედ გამოდიოდნენ.

მაგრამ გუნდის უფრო მეტწილად ა. პრევილოვი და რუსეთელი იყო, რომ აღსაზრდელები იმდენ არ გაუმტყუნებდნენ. ლეი-პლესი-დში წასვლამდე მათ ბაჟურთან შესახიშნავად ჩააბარეს „გამოცდა“ სიმწიფის ატესტატები.
...დისციპლინა პირველი ნახევრის შემდეგ მთავარი მეტოქეებია მდგომარეობა ასეთი იყო: ალიბეივა 10 კმ გაიარა 45 წუთსა და 8 წამში (სამიწინსთვით არც ერთი ტყვიანი არ დაუცილებია). ულრიხმა ერთი ტყვია ააცილა და ალიბეივს 19 წამით ჩამორჩა. უფრო უარესი შედეგი ჰქონდა ზინბერტს, რომელიც 2 წუთით დაჯარიმდა.

შეასაღებ, ულრიხიც და ზინბერტიც ალიბეივზე სწრაფად დარბიან, მაგრამ ტყვად ისვრიან. აი, სწორედ სროლის ფაქტორი გამოდგა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი, რამაც საბჭოთა ოსტრატ პირველი ოლიმპიური ოქრო და სპორტის დამსახურებული ოსტრატის წოდება მოუტანა (ოლიმპიურ ჩემპიონებს საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტით ადგილებზე ენიჭებათ ეს მალაი წოდება).

საბოლოოდ, ა. ალიბეივმა ყველა საცეცხლე პოზიცია სუფთად გაიარა. მან სულ ერთი საათი, 8 წუთი და 16,31 წამი დახარჯა. ულრიხმა 11,48 წამი წააგო და ვერცხლს დასჯერდა. ბრინჯაო ერგო ე. როიზს — 1:11.30,25. ბარნაშოვი და ალიკინი შესაბამისად VII და VIII ადგილებს დასჯერდნენ, რის გამო გუნდს ვერაფერი არგეს.

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი ა. ალიბეივი შეჯიბრების დროს.

საერთო-მოთხილავურა ქალთა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში (საბჭოთა სპორტმენები მასში არ მონაწილეობდნენ) უმედავით ბროლოში ჩატარდა. ამ სახეობაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ოქროს მაძიებლისგან საუკეთესო ფიციურ და ტექნიკურ მომზადებას, აღლოსა და გაბეჭდულებას მოითხოვს.

სწორედ ეს თვისებები გამოავლინა ოლიმპიადში ავსტრიელმა ა. პრიოლ-მოზერმა. ლიბტენ-შტიანელმა ჰ. ვენცელმა „შვეიცარიელმა“ მ-ტ. ნაიგამ... ისინი მსოფლიო თასის წლევიანდელი გათამაშების ლიდერები არიან და აქაც ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

ნაიგამ ადრე უკვე მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი, მაგრამ ახლა, რამდენიმე წლის გაგლის შემდეგ, მის კვლავ სურდა ამ ძვირფასი მიწის დამსახურება და ამიტომაც გაბეჭდულად დაეშვა. მისი მაჩვენებელი გახდა სხვათა ორიენტირი.

როცა ვენცელმა შეჯიბრება დაამთავრა, გაიკვირა, რომ ნაიგის ოქროს მედლის მოპოვება არ ეწყება — მან მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ საბოლოო აიტყუა არ ჰქონდა ნათქვამი მოზერს, რომელიც სწორედ ოლიმპიადის წინ შევიდა საუკეთესო სპორტულ ფორმაში.

მსოფლიო თასის მრავალჯერ მფლობელი მოზერ-პრიოლი, როცა სტარტს იღებდა, გამარჯვებაზე კი არ ფიქრობდა, არამედ ტრასის რაც შეიძლება სწრაფად გავლაზე ოცნებობდა და კართა გავლისას უჩვეულო ოსტატობას ამჟღავნებდა, რამდენჯერმე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი რომელიღაც კარს გამოტოვებდა, მაგრამ ყველაფერმა მშველდობიანად ჩაიარა და ა. მოზერ-პრიოლი ჩემპიონი გახდა — 1:37,52

სურათზე: ა. მოზერ-პრიოლი დისციპლინაზე.



თამაშების ტაბულა

| ციფრებით | რანგი | პუნტი | | | | | | | | | | | | | | |
|---|-------|--|----|--------------------------------------|----|----------------------------------|----|---------------------------|----|-----------------------------------|----|---|----|---|----|--------|
| მ. ქალაში. კ. ენკე (გერ) | 1 | 500 | | | | | | | | | | | | | | |
| 41,78 (ოლიმპიური რეკორდი), ლ. მიულერი (აშშ) | 2 | 42,26, 5. პეტრუსიოვა (სსრკ) | 3 | 42,42, 4. ბ. იარნსტრომი (შვეიცია) | 4 | 42,47, 5. ნაგაია (იაპონია) | 5 | 42,70, 6. იაკობი (გერ) | 6 | 42,98... 8. ტ. ტარასოვა | 7 | 43,26... 10. ი. კოვროვა (ორივე — სსრკ) | 8 | 43,50. | | |
| ვაშაძე. ე. ჰაიდენი (აშშ) | 9 | 38,03, (ოლიმპიური რეკორდი), ე. კულიკოვი (სსრკ) | 10 | 38,37, ლ. დე ბოერი (პოლანდია) | 11 | 38,48, ფ. როინი (ნორვეგია) | 12 | 38,66, დ. იმერფოლი (აშშ) | 13 | 38,69, ი. პედერსენი (ნორვეგია) | 14 | 38,83, ა. მედენიკოვი | 15 | 38,88... 15. ს. ხლებნიკოვი (ორივე — სსრკ) | 16 | 39,25. |
| ერთადგილიანი ციფრები. ქალაში. ვ. ზოზულია (სსრკ კავშირი) | 1 | 2,36,537 (სამი დამუშავების ჩამი), მ. ზოლმანი (გერ) | 2 | 2,37,657, ი. ამანტოვა (სსრკ კავშირი) | 3 | 2,37,817, ე. დემლი-აიტნერი (გერ) | 4 | 2,37,918, ი. ბრანდი | 5 | 2,38,115, მ. შუმანი (ორივე — გერ) | 6 | 2,38,255... 8. ა. რიბენა (სსრკ კავშირი) | 7 | 2,39,011. | | |
| ვაშაძე. ბ. გლახი (გერ) | 8 | 2,54,796, პ. ჰილდგარტნერი (იტალია) | 9 | 2,55,372, ა. ვინკლერი (გერ) | 10 | 2,56,545, დ. გიუნტერი (გერ) | 11 | 2,57,163, გ. სანდბიშლიერი | 12 | 2,57,541, ფ. ვი- | | | | | | |

| ღმინი (ორივე — ავსტრია) | პუნტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--|---------|--|---|--|---|-------------------------------------|---|--------------------------------|---|-------------------------------|---|---------------------------|---|----------------------------|---|---|---|----------|
| 2,57,483. | 5000 მ. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ციფრებით. ვაშაძე. 5000 მ. ე. ჰაიდენი (აშშ) | 1 | 7,02,29, (ოლიმპიური რეკორდი), კ.-ა. სტენსკელმეტი | 2 | 7,03,28, ტ.-ი. ოკსპოლმი (ორივე — ნორვეგია) | 3 | 7,05,59, ჰ. ვან დერ ლუმი (პოლანდია) | 4 | 7,07,97, თ. ტვეტერი (ნორვეგია) | 5 | 7,08,36, პ. კლეინი (პოლანდია) | 6 | 7,08,96... 11. ვ. ლესკინი | 7 | 7,16,24... 13. დ. ოგლობინი | 8 | 7,16,92... 15. ს. ბერეზინი (ყველა — სსრკ კავშირი) | 9 | 7,19,93. |

| ბიატლონი. 20 კმ. ა. ალიბეივი | პუნტი | | | | | | |
|---|------------------------------------|---|-------------------------------|------------------------------------|--------------------------|---|-------------|
| 1:08.16,31, ი. ულრიხი | 1:08.27,79, ე. როიზი (ორივე — გერ) | 1:11.11,73, ს. ენგენი (ნორვეგია) | 1:11.30,24, ე. ანტია (ფინეთი) | 1:11.32,32, ე. მოგელი (საფრანგეთი) | 1:11.33,60, ვ. ბარნაშოვი | 1:11.49,49, ვ. ალიკინი (ორივე — სსრკ კავშირი) | 1:12.05,30. |
| გომბლეი. ორადგილიანი. ე. შერერი — ი. ბენცი (შვეიცარია) | 4.09,36, ბ. გერმესაუენი | 3. ი. გერპარდი — 4.10,93, მ. ნემერი — ბ. მუზიოლი (ორივე წყვილი — გერ) | 4.11,08. | | | | |
| შემდეგ მოდიან შვეიცარია I — 4.11,32, აშშ-II — 4.11,73, აშშ-I — 4.12,12. საბჭოთა სპორტმენები ამ სახეობაში არ მონაწილეობდნენ. | | | | | | | |

გაზეთი გამომდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპუტატების — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიჭულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჯანდაცის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომცემი — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანები — 93-97-57.